**სახელმწიფო შესყიდვების**
**სააგენტოს თავმჯდომარის**
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080160221780719

№ 4945

16 / დეკემბერი / 2019 წ.

## ზოგიერთი ელექტრონული ტენდერის შეწყვეტის საჭიროების თაობაზე

2019 წლის 13 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები, რის გამოც, SPA190005696, SPA190005833 და SPA190005819 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა და ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“. შესაბამისად, საჯარო გახდა პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ.

იმავე ხარვეზის გამო NAT190023335, NAT190023004, NAT190022277, NAT190023532, NAT190023566, NAT190023529, NAT190023310 ელექტრონულ ტენდერებში პრეტენდენტებმა, შესაძლოა, ვერ მოახერხეს სატენდერო წინადადებების წარდგენა. ამავდროულად, ამავე დღეს ელექტრონულ ტენდერებს მიენიჭა ტენდერის სტატუსი „წინადადებების მიღება დასრულებულია“, შესაბამისად, საჯარო გახდა იმ მომენტში არსებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტების ვინაობა და სატენდერო წინადადება, რის გამოც ვერ იქნება მიღებული გადაწყვეტილება ამ ელექტრონულ ტენდერებში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადის შესაბამისი პერიოდით გაგრძელების შესახებ

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად:

1. ააიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ“ (NAT190023335), ქარელის მუნიციპალიტეტმა (NAT190023004), შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-მა (NAT190022277), სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ (SPA190005696), ააიპ „მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტულმა სკოლამ“ (NAT190023532), სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა“ (NAT190023566), სსიპ „საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულმა ცენტრმა“ (NAT190023529), შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ (NAT190023310), საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – კოლეჯმა „იბერია“ (SPA190005833) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა (SPA190005819) დადგენილი წესით, შეწყვიტონ ზემოაღნიშნული ელექტრონული ტენდერები.

2. წინამდებარე განკარგულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე www.procurement.gov.ge. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობოთ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მომხმარებლებს სისტემური შეტყობინების მეშვეობით.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
შტამპოსანულია